

UDC (უაკ) 633.854.78:632.51+632.954


ვაზში გავრცელებული სარეველების მავნეობა და მათ წინააღმდეგ ეფექტური ჰერბიციდების გამოყენება

ლალი წივილაშვილი

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, თბილისი, საქართველო
lali_wivila@yahoo.com

ვაზი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურაა. ყურძნის მაღალი და ეკოლოგიურად სუფთა მოსავლის მისაღებად საჭიროა მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების დასახვა. მავნე ორგანიზმების მიერ მიყენებული ზარალი შეადგენს 40-45 %-ს, აქედან სარეველების მიერ გამოწვეული მოსავლის დანაკარგები აღწევს 10-12 %-ს. ვაზი ხასიათდება დასარეველიანების მაღალი ხარისხით. სარეველები გარდა იმისა, რომ ვაზს ართმევენ წყალსა და საკვებ ნივთიერებებს (მხოხავ ჭანგას ნიადაგიდან გამოაქვს აზოტი – 48,6 კგ/ჰა, ფოსფორი – 31,5 კგ/ჰა, კალიუმი – 68,5 კგ/ჰა; ღიჭას – 67 კგ/ჰა აზოტი, 28,7 კგ/ჰა პოსფორი, 159,7 კგ/ჰა კალიუმი; ნარს – 131,1 კგ/ჰა აზოტი, 31 კგ/ჰა ფოსფორი, 116,9 კგ/ჰა კალიუმი; მარცვლოვანი – 84,8 კგ/ჰა აზოტი, 47 კგ/ჰა ფოსფორი, 70,4 კგ/ჰა კალიუმი), არიან აგრეთვე მავნე ორგანიზმების რეზერვატორები.


მოსავლის დანაკარგი, %



ვაზში გავრცელებული სარეველების სახეობრივი შემადგენლობა მრავალფეროვანია – ერთწლიანი და მრავალწლიანი მარცვლოვანი და ორლებნიანი სარეველები. გარდა ამისა, ლიტერატურული მონაცემებით ფიქსირდება ახალი საკარანტინო სარეველა – *Cenchrus panicifl Benth*, რომელიც საქართველოში დარეგისტრირდა 2011 წელს სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ. მარცვლოვანიდან გავრცელებულია: გლერტა (*Cynodon dactylon (L.) Pers*), შალაფა (*Sorghum halepense (L.) Pers*), ძურწა (*Setaria viridis (L.) P.b.*, მხოხავი ჭანგა (*Agropyron repens (L.) P.B.*

ორლებნიანი სარვევლებიდან – ავშანფოთლიანი ამბროზია (*Ambrosia artemisiifolia* L), ბირკა (*Xanthium strumarium* L), დანდური (*Portulaca oleracea* L.), კოფრხილა (*Falcaria vulgaris* L.-დასავლეთ საქართველოში), მატიტელა (*Polygonum aviculare* L.), თეთრი ნარი (*Cirsium incanum* (L.) Scop), ჟუნჯრუკი (*Stelaria media* (L.) Cyr), ღორის ქადა (*Lactuca serriola* L.), ყანის ჭლეკი (*Polygonum convolvulus* L.), წიწმატურა (*Capsella bursa-pastoris* (L.) Medic), ჩვეულებრივი ჯიჯლაყა (*Amaranthus retroflexus* L.). ფიტოსანიტარული მონიტორინგი ჩატარდა თელავისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში.

დადგინდა გავრცელებული სარვევლების სახეობრივი შემადგენლობა, დომინანტობა და მანევობა. განსაკუთრებული მანევობით გამოირჩევა გლერტა (*Cynodon dactylon* (L.) Pers)), შალაფა (*Sorghum halepense* (L.) Pers), ავშანფოთლიანი ამბროზია (*Ambrosia artemisiifolia* L), ბირკა (*Xanthium strumarium* L), თეთრი ნარი (*Cirsium incanum* (L.) Scop), ხოლო დომინანტურია – გლერტა (*Cynodon dactylon* (L.) Pers), შალაფა (*Sorghum halepense* (L.) Pers), ავშანფოთლიანი ამბროზია (*Ambrosia artemisiifolia* L), ბირკა (*Xanthium strumarium* L), ღორის ქადა (*Lactuca serriola* L).



მეჩხერყვავილიანი ცენსრუსი – *Cenchrus pauciflorus* Benth (საკარანტინო სარვეველა)

სარვევლების წინააღმდეგ საბრძოლველად გამოყენებული იქნა საქართველოში დარეგისტრირებული ჰერბიციდები – ეფდალ იზოფოსატი (გლიფოსატი იზოპროპილის მუავა – 4 ლ/ჰა); კლინ-აპი (გლიფოსატი იზოპროპილის მარილი- 3-4,5 ლ/ჰა), სონრაუნდი (გლიფოსატი იზოპროპილის მარილი- 3-4 ლ/ჰა), ბასტა (ამონიუმის გლუფოსინატი- 3-5 ლ/ჰა), კაბუკი (პირაფლუფენ ეთილი), რომელსაც აქვს როგორც ჰერბიციდული, ასევე დესიკანტური დატვირთვა. ჰერბიციდული დატვირთვის შემთხვევაში მისი ხარჯვის ნორმაა – 0,4 ლ/ჰა, ხოლო დესიკანტის მიხედვით – 0,4-0,8 ლ/ჰა. მათი ბიოლოგიური ეფექტურობა შეადგენს 80-90 % -ს, რომელიც გრძელდება ვეგეტაციის ბოლომდე.

ვაზში გავრცელებული დომინანტური სარეველები (დედოფლისწყარო, თელავი)

№	სარეველების დასახელება	სარეველების შესვედრილობის %	სარეველების რაოდენობა ც/მ ²	ნიადაგის ტიპი
1	გლერტა	80	15	ყავისფერი კარბონატული
2	შალაფა	70	13	“-----”
3	ავშანფოთლიანი ამბროზია	60	10	“-----”
4	ბირკა	55	9	“-----“
5	ღორის ქადა	55	8	“-----”

ლიტერატურა

1. Research methods in Herbology. 2014
2. გ. ქეშელაშვილი, ო. ქეშელაშვილი. სარეველა მცენარეები, მათთან ბრძოლის საშუალებები და ეკონომიკური შეფასება. თბილისი, 1987
3. Методические указания по полевого испытанию гербицидов. М. 1981
4. Методические указания по мониторингу численности вредителей, сорных растений и развития болезней с.х. культур (коллектив авторов), Астана:”Foliant”, 2004, 267 ст. Рекомендации ВИЗР, “Защита и карантин растений”, 2002, №5., 2004, №10

HARM CAUSED BY WEEDS SPREAD IN VINEYARDS AND USE OF EFFECTIVE HERBICIDES AGAINST THEM

Lali Tsivilashvili

Scientific-Research Centre of Agriculture, Tbilisi, Georgia,

lali_wivila@yahoo.com

Summary

The vine (*Vitis vinifera L.*) is one of the most important crops. In order to achieve a high yield of grape and ecologically clean produce it is essential to define measures against pests. In general losses caused by pests reach 40-45 %, from which 10-12 % comes from weeds. Vineyard is characterized by high infestation rated by weeds. Weeds compete for water and nutrients with vine and at the same time serve as reservoirs for various pests.

Species composition of weeds spread in vineyards is highly diverse—monocotyledonous and dicotyledonous. Besides that, there is a new quarantine weed species - *Cenchrus panicfl Benth*, which was registered in Georgia in 2011. From grasses the following species are predominant: Bermuda grass, Johnson grass, Green foxtail, Couch grass. From dicotyledonous weeds Common ragweed, Common cocklebur, Common purslane, Sickleweed, Common wormwood (in Western Georgia), Knotweed, Creeping thistle, Common chickweed, Milk thistle, Blak bindweed, Shepherds purse, Common amaranth. The phytosanitary monitoring revealed that the most harmful species are Bermuda grass, Johnson grass, Common ragweed, Common cocklebur, Common wormwood, Milk thistle and dominant species are Bermuda grass, Johnson grass, Common ragweed, Common cocklebur, Common wormwood, Milk thistle. The harm and dominancy of weeds differs depending on municipality and plot location. To control those weeds the following registered herbicides are used: Epdal izoposati (glyphosate isopropyl acid) 4 l/ha; Clean-up (glyphosate isopropyl salt) – 3-4.5 l/ha; Sonround - (glyphosate isopropyl salt) – 3 l/ha; Sunforce (glyphosate isopropyl salt) – 3-4 l/ha; Basta – (ammonium glufosinate) – 3-5 l/ha; Kabuki (pyraflufen-ethyl), which acts as a herbicide and as a desiccant. As a herbicide it should be applied with dosage 0.4 l/ha, and as a desiccant – 0.4-0.8.